ნოემბერი, 2021

ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა*

თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- ოქტომბერში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 6.9% შეადგინა.
- ნოემბერში წლიური ინფლაცია 12.5%-ს გაუტოლდა
- ნოემბერში წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 0.1%-ით, ხოლო ევროს მიმართ 1.7%-ით გამყარების ტენდენციას ავლენს.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა თვის ცვლადს

1. რეალური და ფისკალური სექტორი



ოქტომბერში დადებითი ეკონომიკური ზრდა 6.9%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2021 წლის ოქტომბერში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 6.9% შეადგინა.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2021 წლის ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, რეალური მშპ-ის ზრდის ანუალიზებულმა ტემპმა[1] 7.3% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის აღდგენის მაღალი ტემპები შეინიშნება.





ნოემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 12.5%-ს შეადგენს.

წინა წლის ნოემბერთან მიმართებით, 2021 წლის ნოემბერში ინფლაციის დონე 12.5%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე მეტი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ტრანსპორტზე, საცხოვრებელზე, წყალზე, ელ. ენერგიაზე, აირზე, ჯანმთელობის დაცვაზე, აგრეთვე სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე. 2021 წლის ოქტომბერში მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 11.5% შეადგინა.



[1] წინა თვესთან შედარებით ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და წარმოადგენს შესწორებული ტრენდის გაწლიურებულ მაჩვენებელს.



ოქტომბერში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.
2021 წლის ოქტომბერში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 24%-ით გაიზარდა, ხოლო ხარჯები 7.5%-ით. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი საოპერაციო სალდო 24.4 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო 267.1 მლნ ლარით განისაზღვრა.



ოქტომბერში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ისე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები არსებითი ზრდის ტენდენციას ავლენს.
წინა წლის ოქტომბერთან მიმართებით, 2021 წლის ოქტომბერში კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 14.9%-ით მოიმატა და 40.8 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 26.7%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 5.5%-ით გაიზარდა.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები

საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები (მლნ აშშ დოლარი)
იანვარი-ოქტომბერი



იანვარ-ოქტომბერში, წინა წლის იმავე პერიოდებთან შედარებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტი.
წინა წლის იანვარ-ოქტომბერთან შედარებით, 2021 წლის იანვარ-ოქტომბერში ექსპორტი 24.9%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი 22.3%-ით, რაც ძირითადად სავაჭრო ბრუნვის გაზრდით არის გამოწვეული. ამ პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 29.9%-ით განისაზღვრა. ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა აშშ-ში (147.6%–ით), ყაზახეთში (71.3%-ით), თურქეთში (66.4%-ით), უკრაინაში (49%-ით) და რუსეთში (37.2%-ით). ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტი არაბთა გაერთიანებულ საემიროებში (37.2%-ით), ბულგარეთში (27.9%-ით) და შვეიცარიაში (23%-ით).
საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა შეიმჩნევა ფეროშენადნობების (90.6%), ტრიკოტაჟის ნაწარმისა (70%) და თხილისა და სხვა კაკლის (32.1%) ჯგუფებში.

უმსხვილესი საექსპორტო საქონელი
(იანვარი - ოქტომბერი)



ფულადი გზავნილები (%)
ოქტომბერი



ოქტომბერში ფულადი გზავნილები გაიზარდა.
წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2021 წლის ოქტომბერში ფულადი გზავნილები 13.7%-ით გაიზარდა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 39.9%), რუსეთი (17.5%) და აშშ (11.5%) წარმოადგენენ. საანალიზო პერიოდში გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა შემდეგი ქვეყნებიდან: ყირგიზეთიდან (1038%-ით), ყაზახეთიდან (306%-ით), გერმანია (38%-ით), აზერბაიჯანიდან (33%-ით), პოლონეთიდან (31%-ით), იტალიიდან (20%-ით), აშშ-დან (12%-ით) და ისრაელიდან (11%-ით).

ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი)
იანვარი-ოქტომბერი



2021 წლის ნოემბერში საერთაშორისო რეზერვებმა 3,928 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2021 წლის ნოემბერში საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 3,928 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 2020 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 4.7%-ით გაიზარდა, ხოლო წინა თვესთან მიმართებით კი - 0.8%-ით შემცირდა. 2021 წლის ნოემბერში ეროვნულ ბანკს სავალუტო ინტერვენციებით ოპერაციები არ განუხორციელებია.



[2] საერთაშორისო რეზერვების ჯერადობა გაზომილია იმპორტთან მიმართებით.

3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

ოქტომბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასის ზრდის ტრენდი შენარჩუნდა.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2021 წლის ოქტომბერში სარეზერვო ფულის მასა 1.8%-ით გაიზარდა. ფულის M2 აგრეგატმა 19.8%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 16%-ს გაუტოლდა. ნოემბერში წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 12.5% შეადგინა.





ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, დეპოზიტებზე გაიზარდა, ხოლო სესხებზე მცირედით შემცირდა დოლარიზაციის მაჩვენებელი.

2021 წლის ოქტომბერში დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.36%-ული პუნქტით გაიზარდა და 60.2%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 0.06%-ული პუნქტით შემცირდა და 51.4% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, 2021 წლის ოქტომბერში ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 0.5%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა კი 2%-ით.





ოქტომბერში, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.7%-ული პუნქტით შემცირდა, ხოლო სესხებზე 0.2%-ული პუნქტით გაიზარდა.

2021 წლის ოქტომბერში საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 12.2% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 5.8%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) 2021 წლის ოქტომბრის მდგომარეობით 6.4% შეადგინა, 0.9%-ული პუნქტით მეტი წინა წლის ოქტომბერთან შედარებით.



ნოემბერში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი როგორც აშშ დოლარის, ასევე ევროს მიმართ გამყარების ტენდენციას ავლენს.

2021 წლის ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.1%-ით, ხოლო ევროს მიმართ 1.7%-ით გამყარდა. ამავე პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება შედარებას გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, 2021 წლის ნოემბერში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 5.5%-ით, ევროს მიმართ კი 9.2%-ით გამყარდა.

4. რეგიონული მიმოხილვა

ნოემბერში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით ერთნაირი დინამიკით ხასიათდება.
კერძოდ, 2021 წლის ნოემბერში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 21.3% შეადგინა. შედარებით დაბალი იყო ინფლაციის დონე სომხეთში (9.6%) და რუსეთში (8.4%). რაც შეეხება აზერბაიჯანს*, 2021 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 10%-ით გაიზარდა.





ნოემბერში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსების უმეტესობა, აშშ დოლართან მიმართებაში გამყარების ტენდენციას ავლენს, თუმცა განსხვავებული მასშტაბით.
კერძოდ, 2021 წლის ნოემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აშშ დოლართან მიმართებაში გამყარდა რუსული რუბლი (5.9%) და სომხური დრამი (4.2%-ით), აზერბაიჯანული მანათი თითქმის არ შეცვლილა, ხოლო თურქული ლირა გაუფასურდა (23.7%-ით).

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

ცხრილი N1. *ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები*

		ნოე 20	დეკ 20	იან 21	თებ 21	მარ 21	აპრ 21	მაის 21	ივნ 21	ივლ 21	აგვ 21	სექ 21	ოქტ 21	ნოე 21
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	-7.7	-7.9	-11.5	-5.1	4.0	44.8	25.8	18.7	9.9	10.3	6.9	6.9	
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	-4.2	-5.1	-8.1	7.6	21.5	93.4	50.3	37.5	26.5	31.2	24.0	25.6	
მონეტარული სექტორი	ინფლაცია (%)	3.8	2.4	2.8	3.6	7.2	7.2	7.7	9.9	11.9	12.8	12.3	12.8	12.5
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	8.00	8.00	8.00	8.00	8.50	9.50	9.50	9.50	9.50	10.0	10.0	10.0	10.0
	დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	64.13	62.75	63.76	0.64	64.55	0.63	0.62	0.61	0.60	0.60	0.60	0.60	
	სესხების დოლარიზაცია (%)	56.2	55.5	55.6	0.55	55.36	0.56	0.54	0.53	0.52	0.52	0.51	0.51	
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი (ლარი)	3.31	3.29	3.30	3.31	3.34	3.44	3.38	3.16	3.13	3.12	3.12	3.14	3.14
	გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	169 936.5	199 678.9	149 753.8	161 382.3	188 171.1	194 056.8	187 714.4	201 898.4	208 428.2	204 893.0	209 749.8	206 691.2	
	ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	301.1	325.7	224.5	267.7	325.7	377.7	340.0	350.7	386.3	335.1	373.6	411.2	
	იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	720.6	821.5	561.7	648.3	775.0	756.2	769.8	863.6	882.0	866.2	933.1	904.0	
	სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	(419.5)	(495.8)	(337.2)	(380.6)	(449.3)	(378.5)	(429.8)	(513.0)	(495.6)	(531.0)	(559.5)	(492.8)	
	საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	3 751.1	3 910.6	4 101.6	4 076.1	4 101.3	4 136.3	4 153.5	3 918.4	3 872.7	4 116.7	4 076.6	3 959.0	3928.5
ფისკალური სექტორი	შემოსავლები (მლნ ლარი)	1100.8	1307.1	1186.77	983.23	1208.2	1006.6	1002.9	1482.2	1269.4	1296.6	1300.5	1278.7	
	მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1061.8	1642.2	1090.7	1108.3	1197.4	1344.7	1148.9	1271.98	1391.22	1113.9	1208.4	1303.1	
	კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	312.2	730.2	151.1	222.7	245.8	250.2	222.8	496.1	243.1	308.1	479.9	248.2	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ცხრილი N2[3]. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		ნოე 20	დეკ 20	იანვ 21	თებ 21	მარ 21	აპრ 21	მაისი 21	ივნ 21	ივლ 21	აგვ 21	სექ 21	ოქტ 21	ნოე 21
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ცხრილი N3. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		ნოე 20	დეკ 20	იანვ 21	თებ 21	მარ 21	აპრ 21	მაისი 21	ივნ 21	ივლ 21	აგვ 21	სექ 21	ოქტ 21	ნოე 21
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

[3] ცხრილ N2 და N3-ში წარმოდგენილი მონაცემები აღებულია ცხრილი N1-დან.